საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 2023 წლის ანგარიში

2023 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში რეგისტრირებულია 63 განცხადება რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა - 44. ინფორმაციის გაცემის თხოვნაზე უარი ეთქვა 3 მოქალაქეს რადგან, მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს ან კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოთხოვნილი იყო პერსონალურ მონაცემების შემცველი ინფორმაცია, რის თაობაზეც ეცნობათ ადრესატებს. ამჟამად ცენტრის წარმოებაშია საანგარიშო პერიოდში შემოსული 16 განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, ცენტრში განცხადება არ შემოსულა.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას, საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ, 2023 წლის 19 აპრილამდე გადაწყვეტილებას იღებდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, ცენტრის იურიდიული სამსახურის იურისტი - ირმა ოქროპირიძე, (რომელიც ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა ცენტრის დირექტორის 2017 წლის 04 იანვრის N2 ბრძანების საფუძველზე). 2022 წლის 19 აპრილიდან კი ცენტრის იურისტი, თეა შაყულაშვილი (ცენტრის დირექტორის 2023 წლის 19 აპრილის N 430929 ბრძანების საფუძველზე).

საჯარო მოსამსახურეთა მიერ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

ცენტრი საჯარო ინფორმაციის გაცემას ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ცენტრი პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას ახორციელებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებასთან ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით,

გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა არ განხორციელებულა.